მწვანე ალტერნატივა

misamarTi: Tbilisi, 0162, yifSiZis q.# 5a, IV sadarbazo, VII sarTuli
telefoni: (+ 995 32) 22 16 04 / 22 38 74
faqsi: (+ 995 32) 22 38 74
el-fosta: greenalt@greenalt.org

"10" მარტი, 2010

სასარჩელო მოთხოვნის დამატების თაობაზე

ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს
ქალბატონ ნინო შარაძეს

შუამდგომლობა

მოსარჩელე:	ასოციაცია მწვანე ალტერნატივა
მისამართი:	ქ. თბილისი, ყიფშიძის ქ. №5ა, მე-4 სადარბაზო, მე-7 სართული
წარმომადგენელი:	ნინო გუჯარაიძე
მისამართი:	ქ. თბილისი, ყიფშიძის ქ. №5ა, მე-4 სადარბაზო, მე-7 სართული
მოპასუხეები:	საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. №12
	საქართველოს მთავრობა, ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7
	ქ. თბილისის მთავრობა, ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქ. N7

მოგახსენებთ, რომ 2009 წლის 22 დეკემბერს მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის №1025 განკარგულება„"შპს "რუსთავწყალკანალის", შპს "მცხეთაწყალკანალის", შპს "საქწყალკანალის", შპს "თბილისის წყალის" 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დამატებითი განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ" N1 შეთანხმების პროექტის მოწონებისა და ზურაბ პოლოლიკაშვილისათვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე", რომლის თანახმად მოწონებულ იქნა "შპს ,,რუსთავწყალკანალის", შპს "მცხეთაწყალკანალის", შპს "საქწყალკანალის", შპს "თბილისის წყალის" 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დამატებითი განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ" N1 შეთანხმების პროექტი და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრს ზურაბ პოლოლიკაშვილს მიენიჭა უფლებამოსილება, რათა საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოეწერა აღნიშნულ შეთანხმებაზე.

2010 წლის 27 იანვარს ასოციაცია მწვანე ალტერნატივამ მიმართა (გთხოვთ, იხილოთ დანართი 1.) საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელ პირს და მოითხოვა "შპს "რუსთავწყალკანალის", შპს "მცხეთაწყალკანალის", შპს "საქწყალკანალის", შპს "თბილისის წყალის" 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დამატებითი განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ" N1 შეთანხმების ასლი, რომელზე ხელის მოწერის უფლებამოსილება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 22 დეკემბრის N 1025 განკარგულებით მიენიჭა.

ა.წ. 4 თებერვალს მივიღეთ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის წერილი (გთხოვთ, იხილოთ დანართი 2.), რომლითაც ჩვენი

წერილის პასუხად გვეცნობა, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ჩვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მიიღებს მხოლოდ „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედისაგან“ წერილობითი თანხმობის მიღების შემდეგ.

ა.წ 8 თებერვალს ჩვენ მივმართეთ (გთხოვთ, იხილოთ დანართი 3.) საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელ პირს და ვთხოვეთ, მოეწოდებინა ინფორმაცია იმ საკანონმდებლო აქტების და/ან ნებისმიერ სხვა იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტის შესახებ, რომლებსაც საქართველოს ეკონომიკური სამინისტრო ეყრდნობოდა შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედისაგან“ წერილობითი თანხმობის მიღებამდე ჩვენს მიერ 2010 წლის 27 იანვრის წერილით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას; ასევე, იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენდა შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედის“ კომერციულ საიდუმლოებას, მოვითხოვეთ ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის დამადასტურებელი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^2 მუხლით და წერილის ასლი, რომელიც გაეგზავნა შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს“ ჩვენთვის ინფორმაციის ინფორმაციის მოწოდებაზე შესათანხმებლად.

აღნიშნულ წერილზე პასუხად, ა.წ 18 თებერვალს მივიღეთ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის წერილი (გთხოვთ, იხილოთ დანართი 4), რომლითაც მოგვეწოდა მხოლოდ სამინისტროს 2008 წლის 27 ნოემბრის №21/516 წერილის ასლი, რომელსაც, ასევე, ვითხოვდით ზემოხსენებული წერილით; ხოლო დანარჩენი მოთხოვნილი ინფორმაციის თაობაზე საერთოდ არ იყო წერილში აღნიშნული.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტრო არ გვაძლევს ნათელ განმარტებას, იმასთან დაკავშირებით თუ რა მიზეზით არ გვაწვდის “შპს “რუსთავწყალკანალის”, შპს “მცხეთაწყალკანალის”, შპს “საქწყალკანალის”, შპს “თბილისის წყალის” 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დამატებითი განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმების დოკუმენტს, არსებობს სრული საფუძველი ვივარაუდოთ, რომ დოკუმენტი მიჩნეულია კომერციულ საიდუმლოებად; ამასთან ხელშეკრულების მსგავსად არ არის დაცული საჯარო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესი. აღნიშნული ვარაუდის საფუძველს გავძლევს შემდეგი გარემოებები: 1) მყიდველისაგან შეთანხმების დოკუმენტის ასლის გაცემაზე ნებართვის თხოვნის საფუძველი შესაძლოა იყოს მხოლოდ ინფორმაციის კომერციული საიდუმლოების სტატუსი; 2) სამინისტრომ არ მოგვაწოდა ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის დამადასტურებელი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^2 მუხლით.

ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმება, ისევე როგორც ხელშეკრულება უცილობლად შეიცავს ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ და გარემოსდაცვით ინფორმაციას. ამდენად, მიგვაჩნია, რომ საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს“ შორის გაფორმებელი შპს “რუსთავწყალკანალის”, შპს “მცხეთაწყალკანალის”, შპს “საქწყალკანალისა” და შპს “თბილისის წყლის” 100% წილების ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილებების შესახებ შეთანხმების დოკუმენტის გასაიდუმლოებით უხეშად ილახება ჩვენი, როგორც საზოგადოების წარმომადგენელთა უფლებები ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, გარანტირებული საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 ნაწილით, „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის“ (ორჰუსის) კონვენციის მე-4 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 33-ე, 37-ე, 38-ე და 42-ე მუხლის “ა“ და „ნ“ პუნქტებით.

www.greenalt.org

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე და იმ ფაქტის გათვალისწინებით, “შპს ,,რუსთავწყალკანალის”, შპს “მცხეთაწყალკანალის”, შპს “საქწყალკანალის”, შპს “თბილისის წყალის” 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დამატებითი განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმება“ წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, გთხოვთ ჩვენს სასარჩელო მოთხოვნებს დაამატოთ შემდეგი მოთხოვნები:

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 272 მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილის, 28-ე, 33-ე, 42-ე მუხლის ,,ა” პუნქტის და 47-ე მუხლის 1 ნაწილის ,,ა” და „დ“ პუნქტების, „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-4 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, გთხოვთ, დაავალოთ მოპასუხეს მოახდინოს შპს “რუსთავწყალკანალის”, შპს “მცხეთაწყალკანალის”, შპს “საქწყალკანალისა” და შპს “თბილისის წყალის” 100% წილების ნასყიდობის თაობაზე საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ.თბილისის მთავრობასა და შპს “მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს” შორის 2008 წლის 14 მაისს გაფორმებილი ხელშეკრულების დამატებითი განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმების განსაიდუმლოება;

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების საფუძველზე, გთხოვთ, დაავალოთ მოპასუხეს მოგვცეს საჯარო ინფორმაცია, კერძოდ: შპს “რუსთავწყალკანალის”, შპს “მცხეთაწყალკანალის”, შპს “საქწყალკანალისა” და შპს “თბილისის წყალის” 100% წილების შპს “მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს”-ისათვის მიყიდვის თაობაზე დადებული ხელშეკრულების დამატებითი განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმების ასლი.

დანართები: (5 ფურცელი)

1. ასოციაცია მწვანე ალტერნატივას 2010 წლის 27 იანვრის № 04/03-178 წერილი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს;
2. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2010 წლის 2 თებერვლის №18/200/6-10 წერილი ასოციაცია მწვანე ალტერნატივას;
3. ასოციაცია მწვანე ალტერნატივას 2010 წლის 8 თებერვლის № 04/03-186 წერილი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს;
4. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2010 წლის 16 თებერვლის №18/286/6-10 წერილი ასოციაცია მწვანე ალტერნატივას.

ნინო გუჯარაიძე
ასოციაცია მწვანე ალტერნატივას წარმომადგენელი

www.greenalt.org